წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი N7

ქ. წალენჯიხა 2022 წლის 20 ივლისი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა, საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია. ბიუროს სხდომას 10 წევრიდან ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ავთანდილ გაბელია, ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე მაია მიქავა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მამუკა მიქავა, ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის" თავმჯდომარე გონერ კვარაცხელია, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავა, ქონების მართვის და რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავა, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია. ბიუროს სხდომას ესწრებოდა წალენლენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვანო ბურდული.

ბიუროს სხდომა დაიწყო: 10:00 სთ.
ბიუროს სხდომა დასრულდა: 10:30 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ ბიუროს წევრებს გააცნო

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტების გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

   მომხსენებელი კორნელი სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2. სხვადასხვა:

ბიუროს წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

მოისმინეს: 1. ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტების გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ ბიუროს წევრებს წარუდგინა საკრებულოს აპარატში დარეგისტრირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, რომელზეც უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს ბიურომ ერთხმად გადაწყვიტა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შემდეგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის მიზნით:

„1.ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, მუჟავა (ერისწყალი), ფახულანი (წყოუში) და ჯგალი (კურორტ სქური) ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ პირთა ტრანსპორტირების სერვისით უზრუნველყოფის პროგრამა.

2.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის შესახებ.

3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.“.

2. განსახილველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით კომისიების სხდომები გაიმართოს 2022 წლის 24 -25 ივლისს.
3.საკრებულოს სხდომა გაიმართოს 29 ივლისს;
4. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ადმინისტრაციული ცნობის გამოქვეყნება საკრებულოს ვებგვერდზე კანონით დადგენილი წესით.

2.სხვადასხვა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების 2022 წლის პირველი და მეორე კვარტლების შემოსავლების და ხარჯების ანგარიშების მოსმენის (ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ხარჯების დეტალური ანგარიში) თაობაზე. გადაწყდა, რომ ა(ა)იპ-ების ანგარიშების მოსმენა დაიწყოს 2022 წლის 1 აგვისტოდან.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია.